მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	გიორგი თეთრაული
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	gtetrauli@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (400)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2026 წ. 20 თებერვალი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2026 წ. 20 თებერვალი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2026 წ. 20 თებერვალი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა

3.1. მონაცემების აღწერა

მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი წარმოადგენს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში შეძენილი სამშენებლო მასალების ფასების დონის საშუალო მაჩვენებელს საბაზო პერიოდთან შედარებით.

3.2. კლასიფიკაციის სისტემა

მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსის სტრუქტურა შეესაბამება საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაციის (Statistical Classification of Products by Activity – CPA 2008) ევროპულ სტანდარტს.

3.3. სექტორის მოცვა

მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი მოიცავს სამშენებლო მოედნის მომზადების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის, ასევე შენობებისა და ნაგებობების საინჟინრო მოწყობილობების დაყენების პროცესში გამოყენებულ სამშენებლო მასალებს, რაც შეესაბამება საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაციის (Statistical Classification of Products by Activity – CPA 2008) 41-43 სექციებს.

3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები

ქვეყნდება შემდეგი მონაცემები:

- მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსები წინა თვესთან შედარებით;
- მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსები გრძელვადიან საბაზო პერიოდთან შედარებით;
- მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით;
- მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსები 12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან.

3.5. სტატისტიკური ერთეული

დაკვირვების სტატისტიკურ ერთეულს წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი სამშენებლო ორგანიზაციები.

3.6. სტატისტიკური პოპულაცია

დასაკვირვებელი ორგანიზაციების შერჩევის საფუძველს წარმოადგენს საწარმოთა სტატისტიკის მონაცემები. 2026 წლის შერჩევის ბაზა მოიცავს 1 653 ორგანიზაციას, რომელთაგან შერჩეული იქნა 291 ორგანიზაცია. შერჩევის შედეგად ხდება ერთობლიობის 70%-ით დაფარვა (ღირებულებით გამოხატულებაში).

3.7. საანგარიშო არეალი
ფასების შეგროვება ხდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) მოქმედ სამშენებლო ორგანიზაციებში.
3.8. დროის მოცვა
2008 წლიდან დღემდე.
3.9. საბაზო პერიოდი
2010, 2020 წელი.

4. ზომის ერთეული
ინდექსი.

5. საანგარიშო პერიოდი
თვე.

6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება
-

7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა
1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: • კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. • კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.

- კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf

2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

https://www.geostat.ge/ka/calendar

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

ყოველთვიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

10.1. პრეს–რელიზები

პრეს-რელიზი არ ქვეყნდება.

10.2. პუბლიკაციები

-

10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის საქსტატის ვებსაიტზე:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/32/msheneblobistvis-shedzenili-masalebis-fasebis-indeksi
ასევე მონაცემთა გავრცელების პროგრამის, PC-Axis-ის საშუალებითაც:
https://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა

-

10.5. სხვა

-

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე

მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/122/methodologia-fasebis-statistika

10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ

-

11. ხარისხის მართვა

11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის: • სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის დეფლირებისთვის; • ხელშეკრულებით გათვალისწინებული თუ სხვა თანხების ინდექსაციისთვის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში; • წარმოადგენს ანალიტიკურ ინსტრუმენტს ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისა და მკვლევრებისთვის. ინდექსის ძირითადი მომხმარებლები არიან: საჯარო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მკვლევრები და სტუდენტები, მედია საშუალებები და სხვა დაინტერესებული პირები.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემების სიზუსტე უზრუნველოყოფილია შემდეგი პროცედურებით: • გამოკვლევის და გაანგარიშების მეთოდების საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის ყოველწლიური შემოწმება; • პირველადი მონაცემების დროული ანალიზი (ყოველთვიური გამოკვლევის პარალელურად და უშუალოს მისი დასრულების შემდეგ); • გაანგარიშების პროცესის შემოწმების რამდენიმე დონე (დარგის ზედამხედველის, სამმართველოს უფროსის და დეპარტამენტის უფროსის მიერ), ასევე სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის პარალელური გამოყენება.
13.2. შერჩევითი ცდომილება
ინდექსების შერჩევითი ცდომილების შეფასება არ ხდება. არსებული ერთობლიობიდან კვლევის მიზნით გაკეთებული შერჩევის მოცულობა მიიჩნევა ოპტიმალურად კვლევის მიზნების, საერთაშორისო გამოცდილებისა და შეზღუდული რესურსების გათვალიწსინებით.
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
ინდექსების არაშერჩევითი ცდომილების შეფასება არ ხდება. ამასთან, შესაძლო არაშერჩევითი ცდომილების შემცირების მიზნით ინდექსის გაანგარიშების ეტაპი მოიცავს კონტროლის რამდენიმე დონეს (დარგის ზედამხედველის, სამმართველოს და დეპარტამენტის უფროსების მიერ დამოუკიდებელი შემოწმება), ასევე არსებული პროგრამული უზრუნველყოფისა და ლოგიკური კონტროლის ფაილების გამოყენებას.

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 19-22 რიცხვში.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
ფასების შეგროვება ხდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში (ორგანიზაციის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე) და მოიცავს პრაქტიკულად საქართველოს ყველა რეგიონს. ფასების შეგროვებისა და ინდექსის გაანგარიშების პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო მეთოდოლოგიას და მასთან სრულ შესაბამისობაშია. გარდა ამისა, ყველა რეგიონში ფასების შეგროვება ხდება ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემების შესადარისობას ქვეყნის შიგნით.
15.2. შესადარისობა – დროში
ინდექსები შესადარისია მთელი პერიოდისთვის.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
მონაცემები თანმიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
ინდექსები შესაბამისობაშია საწყის მონაცემებთან – ინდექსები აგრეგირებულ დონეზე მიიღება უმცირესი დონის ინდექსების საფუძველზე, მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის მეშვეობით.

16. დანახარჯები და დატვირთვა
ფასების სტატისტიკური გამოკვლევების წლიური ბიუჯეტი (მოიცავს როგორც სამომხმარებლო, ისე მწარმოებელთა და იმპორტის ფასებს) 2026 წელს შეადგენს 3429 60 ლარს.

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა
მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) 2025 წელს არ მომხდარა.

18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსის გაანგარიშებისთვის პირველად მონაცემებს წარმოადგენს ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი შერჩეული სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შეძენილი სამშენებლო მასალების ფასების შესახებ. მასალის ფასი, რომელზეც ხდება დაკვირვება, წარმოადგენს მითითებულ პერიოდში სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სამშენებლო მოედნის მომზადების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის, ასევე შენობებისა და ნაგებობების საინჟინრო მოწყობილობების დაყენების პროცესისთვის შეძენილი სამშენებლო მასალის ღირებულებას. დასაკვირვებელი სამშენებლო ორგანიზაციების შერჩევა ხორციელდება საწარმოთა სტატისტიკის მონაცემების მიხედვით. შერჩევაში ხვდება CPA-ის მშენებლობის (F) სექციის 41, 42 და 43 განყოფილებების შესაბამისი ყველა მოქმედი მსხვილი ორგანიზაცია, ხოლო საშუალო და მცირე ორგანიზაციები – შერჩევითი წესით. ორგანიზაციების შერჩევის შემდეგ ხდება მათი კვლევა შეძენილი სამშენებლო მასალების მახასიათებლების განსასაზღვრად. ამ მიზნით წინა ეტაპზე შერჩეულ სამშენებლო ორგანიზაციებს ეგზავნებათ დამატებითი ელექტრონული კითხვარები, სადაც ორგანიზაციას მოეთხოვება მიუთითოს წინა წლის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ შეძენილი ოთხი (არარსებობის შემთხვევაში ოთხზე ნაკლები) ძირითადი სახეობის სამშენებლო მასალა და თითოეულის შესაბამისი წილი ორგანიზაციის მიერ ყველა შეძენილი მასალის მთელ ღირებულებაში. აგრეთვე მიეთითება მასალებზე დახარჯული მთელი თანხა. მასალების შერჩევის პროცესში ზუსტდება და შეძლებისდაგვარად მაქსიმალური დეტალიზებით აღიწერება

მათი მახასიათებლები. ფასების რეგისტრაციის დროს სპეციფიკაციების ზედმიწევნითი დაცვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რათა ყოველთვიურად დარეგისტრირებული ფასთაშორისი სხვაობა გამოწვეული იყოს მხოლოდ ფასის ცვლილებით და არა მასალის მახასიათებლების ცვლილებით. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხორციელდება შერჩეული მასალების ფასების რეგისტრაცია. მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების გამოკვლევისთვის ორგანიზაციების შერჩევის განახლება ხდება ყოველწლიურად. შერჩევის საფუძველს წარმოადგენს საწარმოთა სტატისტიკის მონაცემები. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში წყვეტს ფუნქციონირებას, მისი ჩანაცვლება არ ხდება შერჩევის განახლებამდე. 2026 წელს ყოველთვიურად შეგროვდება 739 ფასის მონაცემი 244 ორგანიზაციაში.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველთვიურად, საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის ერთსა და იმავე პერიოდში, 1-დან 8 რიცხვის ჩათვლით.

18.3. მონაცემთა შეგროვება

მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასებზე დაკვირვების საველე სამუშაოების დროს ორგანიზაციის წარმომადგენელი ავსებს ძირითად კითხვარს, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე. საველე სამუშაოები მიმდინარეობს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 1-დან 8 რიცხვის ჩათვლით. კითხვარში დაფიქსირებულია შერჩეული სამშენებლო მასალის დახასიათება, ზომის ერთეული და საანგარიშო და მისი წინა თვის ფასები, აგრეთვე ფასის ცვლილების შემთხვევაში – ცვლილების გამომწვევი მიზეზი. მასალის საბაზისო ფასი ფიქსირდება საანგარიშო წლის დასაწყისში და უცვლელი რჩება მთელი წლის მანძილზე. ელექტრონული კითხვარი ივსება ონლაინ რეჟიმში. საწარმო კითხვარს ავსებს დამოუკიდებლად ან რეგისტრატორის დახმარებით. ონლაინ კითხვარები განთავსებულია შემდეგ მისამართზე:
https://questionnaires.geostat.ge/
კითხვარების ნახვა ასევე შესაძლებელია საქსტატის ვებსაიტზე:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/557/questionnaires-fasebis-statistika

18.4. მონაცემთა კონტროლი

ფასების მონაცემთა კონტროლი ხორციელდება 2 ეტაპად:
პირველ ეტაპზე კონტროლი ხორციელდება ფასების რეგისტრაციის საველე სამუშაოების პარალელურად. ფასების ცვლილებისას კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელ პირს ევალება კომენტარის საშუალებით ფასის ცვლილების მიზეზის მითითება. რეგისტრირებული მონაცემების ცენტრალურ ოფისში წარდგენის შემდეგ ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და ლოგიკური კონტროლი შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ.
მეორე ეტაპზე ფასების სისწორის გადამოწმება ხორციელდება ინდექსის გაანგარიშების შემდეგ. ინდექსი საიმედოდ ითვლება ზემოაღნიშნული კონტროლის ეტაპების გავლის შემდეგ.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსის გაანგარიშებისას საანგარიშო პერიოდში რომელიმე მასალაზე ფასის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება პირობითი ფასის გაანგარიშების – იმპუტაციის მეთოდი, კერძოდ, ზედა დონის ჯგუფის ინდექსის გამოყენებით, ან წინა პერიოდის ფასის გამეორებით.
მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსში შემავალი ინდივიდუალური მასალების წონები წარმოადგენს მასალის ღირებულების წილს შეძენილი მასალების მთელ ღირებულებაში. საანგარიშო t პერიოდის წონებისთვის საბაზო პერიოდად გამოიყენება t-2 პერიოდის მონაცემები. წონების განახლება ხდება ყოველწლიურად, რაც ეფუძნება შერჩეული საწარმოების მიერ t-2 პერიოდში მშენებლობისას სამშენებლო მასალებზე გაწეულ მთელ დანახარჯებს. წონების ყოველწლიური განახლების დროს შეიძლება შეიცვალოს ინდექსში შემავალი მასალების ჩამონათვალი.
სამშენებლო მასალებზე ფასების ინდექსის გაანგარიშებისას უმცირესი დონის ინდექსს წარმოადგენს თითოეული სამშენებლო ორგანიზაციის მიერ შესყიდული ინდივიდუალური მასალისთვის გაანგარიშებული ინდექსი. სამშენებლო მასალებზე ფასების გრძელვადიანი ინდექსი ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით მთელი სექციისთვის გამოითვლება ლასპეირესის ტიპის ფორმულით. ამავე ფორმულით ხდება ყველა ზედა დონის ინდექსის გაანგარიშება. მაგალითად, განყოფილების ინდექსი მიიღება მასში შემავალი მასალების გრძელვადიანი ინდექსების შეწონვით, სადაც განყოფილებაში შემავალი მასალების ინდექსების წონების ჯამი უდრის 1-ს. მოკლევადიანი ინდექსი წინა თვესთან შედარებით მიიღება ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით გაანგარიშებული საანგარიშო და წინა პერიოდის გრძელვადიანი ინდექსების ფარდობით.
სამშენებლო ორგანიზაციებისა და მასალების ყოველწლიური განახლების პერიოდში, დეკემბერში,

მიმდინარეობს ფასების შეგროვება როგორც ძველ, ისე ახალ შერჩევაში მყოფი მასალებისთვის, რაც განსხვავებული შერჩევისთვის გაანგარიშებული ინდექსების ჯაჭვური გადაბმის საშუალებას იძლევა. წონების ცვლილების მიუხედავად, ინდექსების ჯაჭვური გადაბმით შესაძლებელია ინდექსის გაანგარიშება გრძელვადიანი საბაზო პერიოდით. თუ საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ შეწყვიტა დასაკვირვებელი მასალის შესყიდვა, მაგრამ ახორციელებს სხვა მსგავსი მასალის შესყიდვას, დასაშვებია ძველი მასალის ახლით ჩანაცვლება. თუ შეიცვალა დასაკვირვებელი მასალის მახასიათებლები, მაგრამ შესადარისობის კრიტერიუმები არ ირღვევა, დასაშვებია ძველი და ახალი მასალის შედარება. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის ცვლილებით გამოწვეული ფასის ცვლილება არ აისახოს ინდექსში.
18.6. მოსწორება
არ გამოიყენება.

19. კომენტარი
-